

1999

### **35. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1999 წლის 5 მარტი.**

#### **საქართველოს პარლამენტის განცხადება**

საქართველოს & nbs; პარლამენტი უკიდურეს შემოთვლას გამოხატავს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში არსებული ვითარებისა და სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ვ. არძინბას მიერ 1 მარტიდან გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების ცალმხრივად დაწყების გამოცხადების გამო. სოხუმის ხელისუფლება სპეკულირებს დევნილთა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მათი გაუსაძლისი ყოფა, უსაფრთხოების დაცვის ელემენტარული მექანიზმების გარეშე შეიტყუოს ისინი რაიონში, როგორც დაქირავებული იაფი მუშახელი, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობას ეს ქმედება ჰუმანიტარულ აქციად და საკუთარი კეთილი ნების დემონსტრირებად მოაჩვენოს.

ყველაფერი ეს ხდება გალში 1994 წლის თებერვლის, 1995 წლის მარტის და 1998 წლის მაისის ტრაგიკული მოვლენების ფონზე, რომლებმაც ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მას შემდეგ, რაც ეუთომ და გაერომ სეპარატისტების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი შეაფასეს, როგორც ეთნიკური წმენდა დემოგრაფიული მდგომარეობის შესაცვლელად. მიმდინარე წლის მარტის განვლილმა დღეებმა კიდევ ერთხელ, თვალნათლივ დაადასტურა დევნილთა ეჭვი და უნდობლობა ცალმხრივი დაბრუნების მცდელობასთან დაკავშირებით სეპარატისტთა ჩანაფიქრისადმი. ორკვირაზე მეტია ენგურის ნაპირზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან მიმდინარეობს დევნილთა მჯდომარე საპროტესტო აქციასაქართველოს პარლამენტს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია დევნილთა დაბრუნების პროცესის ცალმხრივად დაწყება ქართული და აფხაზური მხარეების პრინციპული შეთანხმების, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შემუშავებისა და დაფიქსირების გარეშე.

სეპარატისტთა ლიდერების აღნიშნულ მოწოდებასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს საქართველოს პრეზიდენტმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებებში მონაწილე საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, იმოქმედოს “აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესაბამისად.

ამასთან, საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დევნილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ცალმხრივად გამოცხადების მოსალოდნელ შედეგებზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება სეპარატისტულ რეჟიმს.

საქართველოს პარლამენტი

თბილისი, 1999 წლის 5 მარტი

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წ. ნაწილი I I. 1995-1999 წ. წ., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თბილისი, 2000, გვ. 280-281)